ცნობის ფურცელი

№ 1746 ყოველ-დღიური გამოცემა **1896—1902** პარასკევი, 8 მარტი **№ 1746**

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი
„მოამბე“
(წელიწადი მეცხრე)
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეშვიდე)
ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, **„ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“**

კვირას, 10 მარტს **ქართული თეატრი** 1902 წელს

ვ. ა. აბაშიძის

25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართულ სცენაზე
ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ გამართულ იქმნება

სადღესასწაულო წარმოდგენები

დილით: დასაწყისი 1 საათზე.
წარმოდგენილი იქმნება სცენები თავ. გ. ერისთავის კომედიიდან
„გაყრა“
თვითონ იუბილიარის და მთელი დასის მონაწილეობით; დასასრულ
სადღესასწაულო მილოცვები და სხვ.

საღამოთი: დასაწყისი 8 საათზე.
მესამე მოქ. გოგოლის კომედ. **„რევიზორი“**,
მეორე მოქ. ა. ცაგარლის კომ. **„ხანუმა“**,
მესამე მოქ. მოლიერის კომ. **„მუზმუზელა“**
და მესამე მოქ. სუნდუკიანცის კომედია
„ხათაბალა“. დასასრულ
აპოთეოზი

ადგილების ფასი საბენეფისოა
დრამატიული საზოგ. ადმინისტრაცია.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

მ. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12 | 1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1,—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქ. ბათუმში
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“
სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, საწორის პირდაპირ. (0—19)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

საზღვარ-გარედ

ინგლისი. „შეერთებულ ირლანდიის ლიგა“ საკვირველად ავრცელებს თავის გავლენას მთელ ირლანდიაში. გაზეთები, როგორც პარნელის დროს, სავსეა ამ ლიგის მოქმედების შესახებ ცნობებით.

„შეერთებული ირლანდიის ლიგის“ მიზანია ირლანდიელ გლეხების შეერთება ინგლისელ მებატონეებთან საბრძოლველად. უმთავრესად განახლებული ლიგა ებრძვის ფერმის საიჯარო ქირის თვითნებობით აწევ-დაწევას. კანონით არსებობს საიჯარო ქირის განსაზღვრული ნორმა, რომელსაც ნიშნავს ადგილობრივი სასამართლოები, მაგრამ, რადგანაც თვით მოსამართლეები მემამულეთა წრეს ეკუთვნიან ან მათგან არიან დამოკიდებულნი, სამართლის სასწორს მეტ ნაწილად მიწის მფლობელებისაკენ გადახრიან ხოლმე. ამ ნიადაგზე მეტად ხშირი და მწვავე შეტაკება ხდება ხოლმე. ლიგის მოქმედებასაც ამ შეტაკების დროს აქვს ადგილი და ბოიკოტიც ისევ სცენაზე გამოდის. ირლანდიის სტატს-სეკრეტარმა უინდჰემმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ლიგას—მან განაახლა განსაკუთრებულ კანონების მოქმედება და დაპატიმრებულ ირლანდიელების რიცხვმაც საკვირვლად იმატა; განსაკუთრებულის სისასტიკით ირლანდიის დეპუტატებს სდევნიან.

უინდჰემის მთელ ამ მოქმედებას სახეში აქვს, რასაკვირველია, არა სახელმწიფო ინტერესები, იგი ლენდ-ლორდების ინტერესების დამცველია; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სასტიკ ზომებს არ მიმართავდა, რადგან წარსულის გამოცდილებამ ყველასათვის ცხად-ჰყო ყველა ამ გვარ ზომების სრული უვარგისობა; ირლანდიელი მამულისშვილი უფრო მწარდება და ინგლისელსაც მეტის სიძულვილით ეპყრობა. როცა პირველად შემოიღეს ხმარებაში ეს საგანგებო კანონები, პარნელი და მისი მომხრეები ციხეში ჩასვეს და უილიამ ო'ბრიანი სისხლის სამართალში მისცეს. არ გასულა რამდენიმე თვე, რომ ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქმნა სატუსაღოდან განეთავისუფლებია ბრალდებულნი და შეთანხმებულიყო მათთან.

ირლანდიის ეხლანდელი მდგომარეობა ეხლა კიდევ უფრო გართულებულია, რადგან კათოლიკე ირლანდიელებს პროტესტანტებიც შეუერთდნენ: ულსტერის ფერმერები, ინგლისის და შოტლანდიის ჩამომავლობისა, ნამდვილ ირლანდიელებსავით თხოულობენ, რომ სახელმწიფომ გამოისყიდოს კერძო მესაკუთრეთაგან მამულები და შეღავათით მიჰყიდოს ისინი გლეხებს (ეს მუხლი გლადსტონის ჰომრულის პროექტში იყო შეტანილი). ამ ჯგუფის მეთაური როსელია, (მისი ერთი სიტყვა ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი), რომელმაც თავი დაანება სოლსბერის კაბინეტს, რომ ამ მოძრაობის ბელადობა ეკისრა. ფრანგულ გაზეთების სიტყვით, როსელს სწორი არა ჰყავს აგიტატორობაში.

მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია—მას ეშინია და არც სურს ლენდ-ლორდების ინტერესს შეეხოს, მაგრამ, მეორეს მხრით, თუ აქაც მდიდრების მხარე დაიჭირა, მთელი ირლანდია, როგორც ერთი კაცი, მისი შეურიგებელი მტერია და მოსვენებას არ მისცემს მას.

ლიგის ძლიერ ორგანიზაციას გამოუყვია განსაკუთრებული წრე, რომელიც ძველ ფენიებსავით, საიდუმლოდ და ტერორით მოქმედებს: ზოგ ადგილს აგრარულ მკვლელობასა და ფერმების გადაწვასაც ჰქონდა ადგილი. კორის საგრაფოში მოჰკლეს ერთი ფერმერი, რადგან მას იჯარით აეღო ერთი ფერმა, საიდანაც მის წინ მემამულეს გაეგდო ძველი მოიჯარადრე. სოფლებში მეტად გავრცელებულია ამ საიდუმლო წრის პროკლამაციები.

ლიგის ავტორიტეტი შესამჩნევად გაზიარდა მას შემდეგ, რაც მის წევრებად ჩაეწერნენ დუბლინისა და გაბელის ეპისკოპოსები. წინათ უმაღლესი სამღვდელოება შორს უდგა ირლანდიელ პატრიოტების მოღვაწეობას, მაშინ როდესაც დაბალი სამღვდელოება იმ თავითვე მხარში უდგა ირლანდიელ გლეხს, მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპმა აუკრძალა მათ პოლიტიკურ აგიტაციაში მონაწილეობის მიღება.

სამხრეთ-აფრიკა. ყველასათვის მოულოდნელად დელარეიმ განათავისუფლა დატყვევებული გენერალი მეტუენი, როგორც კი ჭრილობამ ნება მისცა მას გადასულიყო ბურების ბანაკიდან კლერკსდორფში. ასეთმა სამაგალითო სულგრძელებამ და სათნოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებზე. ყველა ინგლისური გაზეთები ქებით იხსენიებენ ბურების სარდალს და ზოგიერთი მათგანი იმედს აცხადებს, რომ კიტჩენერიც თავის მხრივ განათავისუფლებს თუ კრონიეს არა, ვილიოენს მაინც და ამითი გადაიხდის ვალს, რომელიც ინგლისს აწევს.

✿ თუ გაზეთებს დავუჯერეთ, უნდა გამართლებულიყოს ინგლისელების შიში—მეორე რაზმიც დაუმარცხებიათ ბურებს: პოლკოვნიკ კიკოვიჩს იმიტომ ვერ აღმოუჩენია დახმარება მეტუენისათვის გაჭირვების დროს, რომ 4 მარტს თვითონ იგი დაუმარცხებია დელარეის ჯარის ერთ რაზმს 40 კილომეტრზე იმ ადგილიდან, სადაც მეტუენი დაატყვევს.

✿ თუ რა ზნეობრივი მნიშვნელობა ექნება მეტუენის დატყვევებას ბურებისათვის, ამაზე შემდეგს სწერს ერთი გერმანელი, რომელიც ბურების მხრივ იბრძოდა: „მეტუენის დატყვევებას ისეთი მნიშვნელობა აქვს ბურებისათვის, რომ ომი, რომელიც, ვსთქვათ, ერთი თვე უნდა გაგრძელებულიყო, ეხლა ერთი წელიწადიც არ გათავდება. ყოველი ბური, რომელსაც კი ეჭვი ჰქონდა თავისიანების გამარჯვებაზე, ყოველი ფერმერი, რომელიც კი თავის ფერმაში დარჩენილა და ჯერ ინგლისელებს არ წაუყვანიათ, ყოველი ქალი, რომელიც კი აგონებდა ძმას ან ქმარს ომის შეწყვეტას, ეხლა ახალის სიმამაცით მოჰკიდებენ საქმეს ხელს: მეტუენის დატყვევება განუბნევს მათ ყოველ ეჭვს.

მეტუენი, ფრენჩის შემდეგ, ყველაზე საშიშარი გენერალი იყო ბურებისათვის; და ეხლა, როცა იგი აღარ ეყოლებათ ომის ველზე, ბურების ძალა გაორკეცდება“.

ინგლისშიაც შესაფერისად დააფასეს მეტუენის დამარცხება. მართალია, იმპერიალისტური გაზეთები სცდილობენ შეასუსტონ ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ამ ამბავმა მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზე, მაგრამ სერიოზული გაზეთები, რომელთაც არ ჰსურთ მოატყუილონ თავიანთი მკითხველები, არას მალავენ და ფაქტს თავის მნიშვნელობას აძლევენ. „დეილი ნიუს“-ი ამბობს, რომ ყოვლად უსარგებლოა მეტუენის დამარცხების მნიშვნელობის შემცირებათ: „ინგლისის გენერლის დატყვევება, ნურას ვიტყვით სხვა ტყვეებზე და ოთხ ზარბაზანზე, ისეთი ამბავია, რომელიც ინგლისის ჯარს არ მოსვლია ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიებთან ბრძოლის შემდეგ, როცა ესენი თავიანთ დამოუკიდებლობას იცავდნენ.“ გაზეთი „ეკო“ ამბობს: „ვიცით კი, რისთვის ვიბრძვით? რასაკვირველია, არა იმისათვის, რომ გავდევნოთ ჩვენ სამფლობელოში შემოსეული მტერი; იგი კაი ხანია განდევნილია. ჩვენ ვიბრძვით, რომ მოვსპოთ ერი, წავართვათ მას თავისუფლება—და ჩვენ გვინდა მივაღწიოთ ამ მიზანს წინააღმდეგ ადამიანობის ყველა უმაღლესს პრინციპებისა.“

დიდი ვაჟკაცობა და მიუდგომლობაა საჭირო, რომ ასეთის სიტყვებით ამხილოს მწერალმა თავისი ერი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს, რომელშიაც ეხლა ინგლისი იმყოფება. მაგრამ ინგლისის სიდიადეც იმით აიხსნება, რომ ამისთანა გამბედავი და მიუდგომელი შვილი არა ერთი და ორი ჰყავს.

ოსმალეთი. მაკედონიის საიდუმლო საზოგადოებებმა, ცოტა ხნის მიჩუმების შემდეგ, ისევ იწყეს თავიანთი გაბედული მოქმედება. მინდვრებში იკრიბებიან ახალგაზდა მაკედონელები და ბოლგარიის ყოფილ ოფიცრების ხელმძღვანელობით სამხედრო საქმეს სწავლობენ.

ამ ვოლონტიორებსა და ოსმალელ ჯარის კაცებს შორის უკვე რამდენიმე შეტაკება მოხდარა.

ჟანდარმებს მიუგნია რამდენიმე საიდუმლო საწყობი სხვა-და-სხვა იარაღებისა. ოსმალეთის მთავრობა სასტიკ ღონისძიებას ხმარობს მოსალოდნელ აჯანყების თავიდან ასაცილებლად; რკინი გზის ლიანდაგს განუწყვეტლივ დარაჯობენ ჯარის კაცები და ყოველ საეჭვო პირს დაუყოვნებლივ ატუსაღებენ. ჰფიქრობენ, რომ მისს სტონის გამოყიდვისათვის მიცემულის ფულით შეიძინა მაკედონიის კომიტეტმა დიდ-ძალი იარაღი.

✡ ლონდონში დაარსებულა ოსმალების ახალი საზოგადოება „იტიხადი ისლამ", რომელსაც მიზნად აქვს გაავრცელოს მაჰმადიანთა შორის ევროპის ცივილიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად ხსენებული საზოგადოება გამოსცემს სხვა-და-სხვა ენაზე გაზეთებს, ჟურნალებსა და წიგნებს. სასაზოგადოების წევრებად არიან, სხვათა შორის, „ახალგაზრდა ოსმალელი" ზიაბეი და განათლებული ინდოელი აბდურრაჰმან-ეფენდი.

✡ მიუხედავად საშინელის შიმშილობისა, ინდოეთის მაჰმადიანთა შორის ჯერ კიდევ იკრიბება დიდ-ძალი ფული მექის რკინის გზის სასარგებლოდ. თვითონ ოსმალეთში ამ მიზნისათვის შეუკრებიათ 45,502,099 პიასტრი.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, საღამოს $10^1/_2$ საათზე, სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოზი **მკირტიჩ** I ტფილისიდან ეჩმიაძინს გაემგზავრა.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გამოუგზავნა სამინისტროს წარმომადგენელს კავკასიაში 15,000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს ბოტანიკურ ბაღში მოსამსახურეთა შენობების **გაფართოვებას.**

✦ საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალყოვლად უსამღვდელოესმა ალექსიმ, საჭიროდ სცნო, ხეხილი ჩაიყაროს და ბაღი გაშენდეს **მცხეთის მონასტერთან.** ამის გამო მიმართა მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელს კავკასიაში თხოვნით, რომ ბაღის გასაშენებლად გაუგზავნოს, რამდენიც საჭირო იქნება, ხეხილების ნერგები და ამასთანავე დაავალოს მცოდნე პირთ, თვალყური დაიჭირონ ამ საქმის მუშაობაზე. ამ თხოვნის გამო, მუშაობა ბაღის გაშენებაზე დაევალა ბოტანიკური ბაღის გამგეს აგრონომს როლოვს, რომელიც შეუდგა კიდეც საქმეს.

✦ 10 მარტს ქალაქ ბათუმში მიემგზავრება ახლად არჩეული ბათუმის ქალაქის თავი თ. ი. ზ. **ანდრონიკაშვილი.**

✦ გუშინ ქალაქის თავის მოადგილემ წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება შესახებ **საადრესო სტოლის** დაარსებისა.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ სწავლულ ტეხნიკოსთა კომიტეტმა განიხილა ტფილისის ელექტრონით განათების პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროში და დაადგინა, **უკან დაუბრუნოს** თვით-მართველობას ეს პროექტი...

✦ 6 მარტს საღამოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, ტფილისის პოლიცმეისტერის მონაწილეობით სხდომა ჰქონდა ქალაქის იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **ცეცხლის მქრობელ რაზმის** შტატის რეორგანიზაციის მოხდენა. კომისიამ განიხილა ტფილისის პოლიცმეისტრის მოხსენება, თუ როგორ მოეწყოს ბუხრების მწენდელთა არტელის დაარსების საქმე, რათა მცხოვრებლებს ხშირი ცეცხლის გაჩენა აეცილონ თავიდან. პოლიცმეისტერი საჭიროდ სცნობს ბუხრების მწმენდელთა არტელი შესდგებოდეს 60 კაცისაგან. არტელის შესანახავად და სხვა საჭირო მასალების შესაძენად ქალაქს დასჭირდება ყოველ წლობით 23,000 მან., ხოლო ქალაქი ნაცვლად ყოველ წლობით მიიღებს 51,000 მან., რადგანაც, შემუშავებულ სავალდებულო დადგენილების თანახმად, მცხოვრებლებს თითო ბუხრის გაწმენდისათვის უნდა გარდახდეთ 15 კაპ. კომისიამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა მოხსენებითურთ და გარდასწყვიტა მიიღოს იგი, ხოლო საჭიროდ დაინახა ხარჯთ-აღრიცხვის შემცირება; თითოეულ ბუხრის გასაწმენდად უნდა იქნეს დადებული 10 კაპ., 60 კაცის მაგიერ არტელში იქნება 50 კაცი და სხვა; ასე რომ ქალაქს ყოველ წლობით დასჭირდება 13704 მან.

✦ **ამავე სხდომაზე** გამგეობამ განიხილა ტფ. პოლიცმეისტერის აზრი ცეცხლის მქრობელ რაზმის მოწყობის შესახებ. რადგანაც ქალაქი ძალიან გაიზარდა და ერთი რაზმი საკმარისი აღარ არის, პოლიცმეისტერი საჭიროდ სთვლის, ორი განყოფილება იქმნეს დაარსებული ქალაქის განაპირა ადგილას. ერთის ცენტრალურისა და ორის განყოფილების შესანახად ყოველ წლობით ქალაქს დასჭირდება 10,200 მან.. აქედან 7200 მან. მოსამსახურეთა ჯამაგირებზე, ხოლო 3000 მან. იარაღების შესაკეთებლად ან ცხენების შესაძენად. ერთ დროებით ქალაქს დასჭირდება სხვა-და-სხვა წვრიმალ იარაღებისა, ბოჭკებისა და ცხენების შესაძენად სულ 13165 მან. კომისია არ დასთანხმდა პოლიცმეისტრის მოსაზრებას ცეცხლის მქრობელ რაზმის სამად დანაწილების შესახებ და გარდასწყვიტა ტფილისისთვის გამართულ იქმნეს ორი რაზმი, ერთი მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ხოლო მეორე—მარცხენა ნაპირას. რადგან კომისიამ პოლიცმეისტრის ორივე მოხსენებაში შესამჩნევი ცვლილებები მოახდინა, ამიტომ პოლიცმეისტერმა განაცხადა, რომ გადასინჯავს თავის მოხსენებათ, შესცვლის ხარჯთ-აღრიცხვასა და ახლო მომავალში წარმოუდგენს მათ გამგეობას.

✦ საბჭოს ხმოსნებმა ბაბოვმა და თაიროვმა ქალაქის თავის მოადგილეს განცხადება წარუდგინეს, რომ საჭიროა ქალაქი დაეხმაროს მცხოვრებთ **ხორცის სიძვირის** გამო. რადგანაც ქალაქის შუამდგომლობა შესახებ 50,000 მან. სესხისა წარდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროში დასამტკიცებლად და არ იციან, როდის დაამტკიცებენ, ხმოსნები ითხოვენ შუამდგომლობა აღიძრას გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს, რომ ქალაქმა გადასდოს 20,000 მან., რომლითაც შეეძლოთ ერთი ხორცის დუქნის გაკეთება მაინც და აგრეთვე საქონლის სყიდვა და მორეკა მცხოვრებთათვის.

✦ ამ დღეებში განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ნავთლუხში ის ადგილი, რომელიც უნდა დაეთმოს ნავთლუხის რკინის გზის სადგურის **გასაფართოვებლად.** ეს ადგილი როგორც კერძო პირებისა, ისეც ქალაქისა შეადგენს სივრცით 31 დესეტინას და 1,162 ოთხ-კუთხ საჟენს.

✦ ბორჯომის მამულის მმართველი არდასენევი **დაინიშნა** უფროს სატყეო რევიზორად ვორონეჟის გუბერნიაში.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაავალა ყარაის და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სადგურების გამგებლებს და აგრეთვე სოხუმის და სოჩის სავენახო სადგურების გამგებელთ, გამოიკვლიონ უფრო სასარგებლო ადგილობრივი ტყის მცენარეები და აგრეთვე ეცადნენ **ხალხში გაავრცელონ** საუკეთესო ჯიშის ხეხილები.

✦ კვირას, 10 მარტს, დანიშნულია ტეხნიკოსთა კრება, რომელმაც უნდა შეადგინოს ტფილისში **ბაკების** აშენების პროექტი. აზრად აქვთ აგრეთვე ამ ბაკებში დუქნებიც გაალონ, რადგანაც საქონლის შენახვის გარდა ხალხისთვისაც იქნება ბინა ბაკებში. იმედი აქვთ, რომ ეს დუქნები დიდ შემოსავალს მისცემენ ქალაქს და არც ძვირად დაჯდება მათი აშენება.

✦ ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ვინც კასაში შეუკვეთა ბილეთები გ. აბაშიძის საიუბილეო წარმოდგენაზე და ჯერ არ წაუღიათ, დღეს, პარასკევს საღამოს, შვიდ საათამდის თუ არ წაიღებენ, შემდეგ აღარ შეენახებათ, ვინაიდან მსურველი ბევრია.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში, შუაბაზარში, პოლიციამ შეიპყრო ტფილისის მოქალაქე ტერ-გრიქუროვი, რომელსაც ლერმონტოვის ქუჩაზე მცხოვრებ მღვდლის მხითარიანცისათვის რაღაც ნივთები მოეპარა.

✦ 7 მარტს, პოლიციის მე-6 ნაწილში, ჩხუბის დროს სპარსეთის ქვეშევრდომმა უსეინ-სულთან-ოღლიმ დანით მძიმედ მუცელში დასჭრა ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები საფარ ისმაილ-ოღლი, რომელიც გაგზავნილ იქმნა მიხეილის სამკურნალოში.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, სამხედრო ოლქის სასამართლოს შენობის შესავალთან, პოლიციამ ნახა ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა; ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი."

✦ პოლიციის პირველს ნაწილში, 6 მარტს, სასამართლოს ქუჩაზე, გაუფრთხილებლობის გამო, გენერალ-მაიორის ვარშამოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს, ასე რომ ზარალი არა მოსვლია-რა მას.

რუსეთის ქრონიკა

∝ იმ გუბერნიებში, სადაც არ არსებობს საერობო დაწესებულება და საერობო საქმეებს განაგებს საგუბერნიო მმართველობა, საერო განათლების მინისტრის შუამდგომლობით ამიერიდან სახალხო სასწავლებელთა დირექტორს ან მის რწმუნებულს ექნება უფლება მიიღოს მონაწილეობა საგუბერნიო მმართველობის სხდომებში, როდესაც სახალხო სასწავლებლებს შეეხება განსახილველი საქმე.

∝ ყაზანის გუბერნატორი ოფიციალურად აცხადებს, რომ ხმა, ვითომც უკანასკნელ უწესოებათა დროს პოლიცია სასტიკად ექცეოდა სტუდენტებს და ვითომც პოლიციელებმა ზოგს ხელი მოსტეხეს და ერთს თვალიც მოსთხარეს, სიცრუე არისო; ერთი შემთხვევაც არ ყოფილა ამგვარი და ხმას განგებ ავრცელებენ საზოგადოების ასაღელვებლადო.

∝ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ საბოლოოდ გარდასწყვიტა დააარსოს აგრონომიული ინსტიტუტი. ამ სასწავლებლის პროექტის შედგენა მიენდო ცნობილს აკადემიკოსს ფამინცინს.

∝ ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ სამხედრო საექიმო აკადემიაში მიიღებენ ყველა რეალისტებს. ახლა აცხადებენ, რომ წელს მიიღებენ მხოლოდ რამდენსამე პროცენტს იმ რეალისტებიდან, რომელთაც საუკეთესო ნიშნები ექნებათ საგნებში.

∝ დონის ოლქის გუბერნატორმა გამოაცხადა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აღკრძალულია ქუჩებში შეგროვება და უწესოებათა მოხდენა. დადგენილება ამბობს: თუ პოლიციის მოთხოვნისთანავე შეგროვილი ხალხი არ გაიფანტება და თუ ქუჩებში უწესოება დაიწყო, გამოყვანილი იქნება

ფელეტონი

შარლ ლეტურნო

(წერილი პარიზიდან)

21 თებერვალს პარიზში გარდაიცვალა ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მსახური საანტროპოლოგიო მეცნიერებისა, შარლ ლეტურნო, პროფესორი პარიზის საანტროპოლოგიო სკოლისა.

განსვენებული დაიბადა 1831 წელს. ექიმის ხარისხით სწავლის დამთავრების შემდეგ 1860 წლიდან მომავალმა მეცნიერმა პრაქტიკას თავი დაანება და გადასწყვიტა თავისი ძალ-ღონე და ცოდნა სავსებით მეცნიერებისთვის შეეწირნა. 1865-ში ლეტურნო წევრად ხდება პარიზის საანტროპოლოგიო საზოგადოებისა. 1886 წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარედაც იქმნა არჩეული; ხოლო 1887 წლიდან ხსენებულ საზოგადოების სამუდამო მდივნის თანამდებობას ასრულებდა სიკვდილამდე.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ლეტურნომ დაიწყო ბუხერის თხზულების ფრანგულად თარგმნით და ამავე დროს სახელი გაითქვა, როგორც მეთაურმა სამეცნიერო მატერიალიზმისამ საფრანგეთში. როგორც სოციალისტი და დემოკრატიულის აზრების მომხრე, ლეტურნო 1871 წლის ომისა და კომუნის შემდეგ გაძევებულ იქმნა სამშობლოდან იტალიაში. აქ რამდენიმე წელიწადი დაჰყო, და ამ ხნის განმავლობაში თავი მოუყარა იმ აურებელ საეტნოგრაფიო მასალას, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო მისს თხზულებებს. როცა, ამნისტიის ძალით, საფრანგეთში დაბრუნება ეღირსა, ლეტურნომ ზედი-ზედ გამოსცა მთელი რიგი თვის შესანიშნავ ნაწარმოებთა: **ბიოლოგია, მეცნიერება და მატერიალიზმი, სოციოლოგია ეტნოგრაფიულ ფაქტებზე დამყარებული** (შემოკლებით ქართულადაც თარგმნილი), **განვითარება ქორწინებისა, განვითარება საკუთრებისა, პოლიტიკური განვითარება სხვა-და-სხვა ერთა, საკანონმდებლო განვითარება, სარწმუნოების განვითარება, მწერლობის განვითარება, სარწმუნოების განვითარება** და სხ. სრულიად 12 ტომზე მეტი თხზულება.

სულ ორის თვის წინად გამოვიდა მისი „ეტნიური ფსიხოლოგიაც".

პარიზის საანტროპოლოგიო სკოლაში საუკეთესო კათედრა **სოციოლოგიისა** ანუ **ცივილიზაციათა ისტორიისა** ლეტურნოს მეცადინეობით დაარსდა. ამავე კათედრის პროფესორად იყო განსვენებული ხსენებულს სკოლაში. დაუვიწყარია ლეტურნო როგორც საუკეთესო ადამიანი და სამაგალითო მეგობარი სკოლის პროფესორთათვის, უფრორე დაუვიწყარი იქმნება სკოლის მსმენელთათვის მოკრძალებული და მშვიდი სახე მოძღვრისა, რომელიც მარტო ოდენ ჭეშმარიტებას უქადაგებდა და რომლისათვის ამ ჭეშმარიტების სამსახურისა და ერთგულობის გარეშე არაფერი არსებობდა.

სადა და მოკრძალებული იყო განსვენებული სიცოცხლეში, რა არის დიდება, მისთვის არ არსებობდა; ამ გვარივე სადა და მოკრძალებული, მის ცხოვრებასთან სრულიად შეხამებული, იყო მისი განსვენებაცა. გასვენებას დაესწრნენ საანტროპოლოგიო საზოგადოების წევრნი, საანტროპოლოგიო სკოლის პროფესორები და მსმენელნი, მეცნიერები; კუბოს რამდენიმე გვირგვინიც ამშვენებდა, და ეს იყო და ეს. ნეშტი მეცნიერისა მონპარნასის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

განსვენებულს დარჩა ორი გასათხოვარი ქალიშვილი (მისნი ერთგულნი და დაუღალავნი თანაშემწენი თვის თხზულებების წერის დროს), მართალია, უვალოდ, მაგრამ თითქმის უსახსროდაც. მეცნიერს დრო არა ჰქონდა ნივთიერ კეთილ-დღეობისათვის ეზრუნა. მისი აზრი და გონება იმაში-ღა იყო გართული, რომ ემსახურნა კაცობრიობისათვის, უკუნით მოცულ წარსულისათვის ფარდა აეხადნა საიდუმლოებისა, სიბნელე განეფანტა და ადამის ძეთა შორის ჭეშმარიტების მოძღვრება გაევრცელებინა. უკანასკნელი სიტყვები მომაკვდავისა ეს იყო: **მე ჩემი მოვალეობა აღვასრულე, არა ვნანობ, რომ ვკვდები.** 71 წლის მოხუცს, თუმცა ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსეს, ამდენის ხნის მშრომელს, ოღონდაც რომ სრული უფლება ჰქონდა ასეთი სიტყვა წარმოეთქვა სამარის კართან!.. ნეტარება იმასა, ვინც თვისის სიცოცხლით ასეთის სიტყვების თქმის უზენაესს უფლებას მოიპოვებს!...

განსვენებულის სურვილის თანახმად, მისი გვამი გასჭრეს. თავის ტვინი, რომელიც საანტროპოლოგიო საზოგადოების ლაბორატორიაში ინახება, იწონის 1490 გრამს, ანუ საშუალო წონის ტვინზე 150 გრამით მეტს.

თ. ხ.

უბრალო საუბარი მეცნიერულ საგნებზე

VI[*]

თუ როგორ გაჩნდა ენა, ამის შესახებ ბევრი სხვა-და-სხვა ნაირი აზრი გამოითქვა მეცნიერებაში. ზოგი ამბობს, ვითომც ენა მზად მიიღო ადამიანმა მისი შემქნელიდანო. ზოგი იმ აზრის იყო—ვითომც კაცობრიობამ ერთი მეორესთან შეთანხმებით შეჰქმნა ენაო.

ეს აზრები ყველა შემცდარია. როგორ შეიძლებოდა ადამიანს თან დაყოლოდა ენა, როცა მისი წარმომშობელი ცხოველები მოკლებული იყვნენ ლაპარაკის ნიჭს?! ის აზრი, ვითომც ენა დამზადებული მიიღო ადამიანმა მისი შემქნელიდანო, კრიტიკის დაბლა სდგას. „პირველი და აუცილებელი პირობა ენის ხმარებისა, ამბობს მეცნიერი ეგერი, ეს ჰაერის თავისუფალი და ზომიერი გაწესრიგება არის, და ეს კი მაშინ მოხდა, როცა ადამიანის ტანმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღოო", [1] ვერტიკალურ მდგომარეობას კი მაშინ ღებულობს პირველ-ყოფილი ადამიანი, როცა ის სხვა-და-სხვა იარაღებს იჩენს და მის ხმარებას ეჩვევა. „ხელები ვერ განვითარდებოდა იმდენად, ამბობს დარვინი, რომ სხვა-და-სხვა იარაღები გაეკეთებია პირველ—ყოფილ ადამიანს, ან ქვა და ისარი გაეტყორცნა ნიშანშიო.

სანამ ისინი ტანის სისწორის შესამაგრებლათ ანუ ხეებზე სასიარულოდ იხმარებდნენ. ამნაირი ხმარება ხელებისა სამუდამოთ დაჩლუნგავდა შეხების გრძნობებს, რომელზე-

---

[*] იხ. „ცნ. ფურცელი" № 1745

[1] Исторія Матеріализма Ланге გვერ. 566.

ჯარი, რომელიც იარაღს მიჰმართავს ხალხის დასამშვიდებლად.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბაქო, 7 მარტს.

დღეს მოჰკლეს რკინის გზის სადგურის უფროსის უფროსი თანაშემწე მესხი. მკვლელი მატარებლების შემდგენელია, გვარად ჩერნიკი.

დაბა-სოფლები

ს. კახათი (ზუგდიდის მაზრა). ჩვენი სოფელი სწავლა-განათლების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილი იყო თავის მახლობელ სოფლებს. ასე წარმოიდგინეთ, აქ ერთ-კლასიანი სკოლის შენობა ვერ მოეხერხებიათ, თუმცა იგი ქონებრივ სხვა სოფლებზე ძლიერ მაღლა სდგას. მიზეზი ამისი გახლდათ შეუგნებლობა და ჯიუტობა.

როცა იმედი სრულიად დაჰკარგეს ამ სოფლის კეთილის მყოფლებმა, მაშინ აქ ყოფილის მღვდლის მ. ჯგუშიას თხოვნით უწმინდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო საბჭოს დადგენილებით მიეცა ათასი მანეთი შემწეობა კახათლებს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის ასაგებად იმ პირობით, რომ მეორე ათასი მანეთი თავის მხრით გამოეღოთ მკვიდრთ. ეს გადაწყდა შარშან-წინ, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო შეჩერებული იყო ამ საქმის დაწყება. ჩვენმა სამაზრო მეთვალყურემ ბ. ჯოხტაბერიძემ გამოუცხადა ხალხს საქმის ვითარება და ურჩია საქმის დროით დაწყება. მაგრამ ზოგმა ჰო სთქვა, ზოგმა არა, ზოგმა აქ მოისურვა სკოლის გახსნა, ზოგმა იქ. მეორეთა და მესამეჯერაც უქადაგეს ხალხს სკოლის საჭიროება, მაგრამ, ვიდრე სხვაც არ მიეშველა ამ საქმეს, არა გამოვიდა-რა.

17 თებერვალს აქ ჩამოვიდა ზუგდიდის ნაწილის ბოქაული და მაშინ კი დაგვირგვინდა საშვილიშვილო განძი განათლებისა. ამავე დღეს შესდგა განაჩენი, რომლითაც ისინი ვალდებულად ხდიან თავის-თავს ათასი მანეთის ზევით რაც დასჭირდება ორ-კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის აშენებას, თვითონ გადაიხადონ. მართალი უნდა მოვახსენოთ, ზუგდიდის ნაწილის ბოქაული ბ. ს. შენგელაია რომ არ ყოფილიყო უკანასკნელ ყრილობაზე, შესაძლებელია, არც კი მოხერხებულიყო ამ საქმის დამთავრება. ბ-ნმა შენგელაიამ, როგორც გულ-შემატკივარმა წევრმა ამ საზოგადოებისამ, გულ-მხურვალედ იღვაწა ამ სოფლის საბედნიეროდ და დიდი მადლობის ღირსია ბ. შენგელაია ხალხის შეგონებისათვის.

დ. თ—ია.

ფოთის ქალაქის საბჭო

5 მარტს.

თავჯდომარემ, ბ-ნმა. ფანცხავამ, მოახსენა საბჭოს, რომ წარსულ წელს, შავი ჭირის მოახლოვებისა გამო, მის წინააღმდეგ საბრძოლველად ქალაქში განსაკუთრებული სანიტარული ზომები იქმნა მიღებული. გამგეობამ ექვსი სანიტარი და ერთი ექიმი დაიქირავა, რომელთაგან თითო სანიტარს თვეში 30 მანეთი ჯამაგირი ეძლევა და ექიმს 100 მან. ამ ხარჯების გარდა ქალაქის კასიდან პოლიციას, ქალაქის სისუფთავეზე ყურის გდებისათვის ეძლევა 200 მან. დღეს დღეობით სულ სანიტარულ ზომების მისაღებად თვიურად ქალაქის კასას 500 მანეთამდის აქვს ხარჯი, რომელიც ქალაქისათვის მძიმეა; რადგან ამ დროით შავი ჭირის შესახებ შიშიანობა მოისპო, ქალაქის საფინანსო კომისიამ საჭიროდ დაინახა სანიტარების და სანიტარულ ექიმის თანამდებობა გაუქმებულ იქმნას. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. სიტყვით თითქმის ყველა ხმოსნები ეწინააღმდეგებოდა საფინანსო კომისიის დადგენილებას და გაიძახოდნენ სამი სანიტარი მაინც საჭიროა ქალაქისათვისო, მაგრამ, როცა ჯერი კენჭზე მიდგა, საფინანსო კომისიის აზრმა გაიმარჯვა.

საბჭოს მოხსენდა ქ. შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეწირულების გადების თაობაზე. საბჭომ დაადგინა გაეგზავნოს დაზარალიანებულ შემახელთა კომიტეტს 300 მან. თავჯდომარემ წაუკითხა საბჭოს ფინანსთა სამინისტროს ქაღალდი, რომლითაც აცნობებენ ქალაქის გამგეობას, რომ ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა საპორტო საქმეთა კომისიის 20 დეკემბრის 1901 წლის შემდეგი დადგენილება: მიეცეს სპეციალურ საშუალებიდან 1902 წ. ფოთის ქალაქის გამგეობის განკარგულებაში შემდეგი ფული: პორტში მიმავალ ქუჩების შესაკეთებლად და შესანახად 20.771 მან. პორტის გზის შესაკეთებლად—1338 მან. სახარჯოთ ელექტრონით გასანათებლად წინა ნავთსადგურისათვის—7,741 მანეთი. პირველ ობლიგაციურ სესხისა და სარგებლის გასასტუმრებლად—75,225 მან., მეორე ობლიგაციურ სესხისა და სარგებლის გასასტუმრებლად—109.542 მან. სულ 214,717 მან. შემდეგ 1902 წ. სპეციალურ საშუალებიდან, როდესაც საპორტო კომისიის საქმეთა საკრებულო ადგილობრივ განიხილავს და გაიცნობს გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას პორტის დანარჩენ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ფოთის ქალაქის სამმართველოს განკარგულებაში იქნება: პორტის შიდა აუზის და ნაპირების შესანახად—29,050 მან., ნავთ-სადგურის მიდამო ჭაობის დასაშრობათ—150000 მან. და მდინარე რიონის და კაპარჭის შუა შესაერთებელ არხის გასაყვანად გადადებულია—26051 მან. იმ პირობით, რომ კომიტეტის მიერ გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ მუშაობა იქმნას დაწყებული. დაბოლოს საგაჭრო და საზღვაოსნო განყოფილება თხოვს ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ აცნობოს მას კომიტეტის მოსახსენებლად, რამდენი ფული და რა და რა დროს უნდა იქმნას გადადებული ფოთის ქალაქის გამგეობის განკარგულებაში იმ თანხიდან, რომელიც ზემოთ არის ჩამოთვლილი. საბჭოს მოხსენდა მთავრობის გადაწყვეტილება ქალაქის შუამდგომლობის შესახებ, რომ სახელოსნო განყოფილება, რომელიც ქალაქის ექვს კლასიან სასწავლებელთან არსებობს, დაბალ სახელოსნო ხარისხის სასწავლებლად იქმნას გადაკეთებული.

სახელოსნო სკოლის დასაარსებლად მთავრობას გადაუწყვეტია, რომ სკოლამ ამ წლის პირველ ივლისიდან დაიწყოს მოქმედება. ამ აზრის განსახორციელებლად სახელმწიფო ხაზინიდან 1902 წლისათვის გადადებულია—2075 მან. 1903 წლიდან დაწყებული კი ყოველ წლობით სასწავლებელს მიეცემა ხაზინიდან 4150 მან., ამ ფულს ქალაქმა თავის მხრივ ყოველ წლობით უნდა დაუმატოს 1800 მანეთი; სახელოსნოს მოსაწყობად და სამუშაო იარაღების შესაძენად სახელმწიფო ხაზინიდან სკოლას მიეცემა 1000 მან., იმ კრედიტიდან, რომელიც დანიშნული იქნება საერო განათლების სამინისტროს სააღმშენებლო საჭიროებისათვის.

იანეთელი

უცხოეთის წვრილი ამბები

ეხლახან ვორონეჟში ერთ მემამულეს ეწვია მოსკოვიდან ახლად კურს-დამთავრებული ნათესავი ქალი. მთვარიან ღამეებში, როცა ღამე კარგად დაგიხრებოდა, გამვლელ-გამომვლელნი ამ დროს ამჩნევდნენ, რომ მემამულის სახლის ბანზე რაღაც უძრავი ანდრიანტი იდგა, თეთრ სუდარაში გახვეული. ამის დამნახველი გამვლელი გლეხკაცობა შიშით კანკალებდა. ამასთანავე მემამულის მოსამსახურენიც საგონებელში ჩავარდნენ და ვერას გზით ვერ გაეგოთ, რისგან ხდებოდა, რომ საღამოთი სრულიად სუფთა და გაწმენდილი იატაკი დილით სველი ფეხებით გათხუპნული იყო. ამ დღეებში ეს მემამულე ღამე გვიან თავის ცოლით მოდიოდა სახლში სტუმრობის შემდეგ; სახლის ბანს რომ შეხედა, ძალიან შეეშინდა: დაინახა, რომ რაღაც უძრავი სურათი სდგას ბანზე, თეთრ ჩადრში გახვეული. ბევრი აღარ უფიქრია, იძრო რევოლვერი და ესროლა ამ სურათს. სურათმა, თითქო გაიღვიძაო, სუსტი ხმით შეჰკივლა და ბანიდან გადმოვარდა. იღბალზე, ღრმა თოვლში ჩავარდა. ბოლოს გამოაშკარავდა, რომ ახალგაზდა სტუმარი ქალი, როგორც კი მთვარე ამოვიდოდა, წამოისხამდა თეთრ საბანს და როგორღაც სახლის სახურავზე აცოცდებოდა; გათენებისას ისევ დაბრუნდებოდა სახლში თავის ალაგს და მეორე დღეს არაფერი არ ახსოვდა თავის სეირნობასა. როდესაც ქალი თოვლიდან ამოიყვანეს, ძალიან დაშავებული აღმოჩნდა ბანიდან გადმოვარდნის გამო და ამასთან ძალიანაც შეშინებოდა, როცა უცბად გაეღვიძნა სახლის სახურავზე რევოლვერი გასროლის დროს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 მარტი

ბიისკი. ტომსკის ოლქის სასამართლოს განყოფილება ხსნის აქ თავის სხდომებს.

უფა. იმის გამო, რომ შეიძლება წყალდიდობა იყოს, გუბერნატორმა ზომები მიიღო.—წყლისაგან გადამრჩენელი საზოგადოების თავმჯდომარე იწვევს საგანგებო კრებას.

ტვერი. ტვერის საეპარქიო სასკოლო საბჭოს განზრახვა აქვს დააწესოს კურსები სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის.

კალუგა. გუშინ კეთილ-შობილთა საკრებულოში კონცერტი გაიმართა უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

მოსკოვი. აზნაურმა ყურავლევმა წინადადება მისცა საბჭოს, შეისყიდონ იმის მამული 2,000,000 მან. ყურავლევი ამბობს, რომ ქალაქს შეუძლიან ამ მამულზე დიდი დახურული ბაზრები ააშენოს.

ხარკოვი. „იუჟნი კრაი“ ამბობს, რომ ექვსს დამცველს პავლოვსკში მომხდარი საქმის გამო ჰსურს საქმე კასაციით განასაჩივროს.

სიმბირსკი. ჰფიქრობენ, სავაჭრო სკოლა გახსნან.

ვლადიკავკაზი. საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლა აღდგენილია.

ვარშავა. უფროსი თავმჯდომარე ვარშავის სამოსამართლო პალატისა სენატორი არისტოვი გარდაიცვალა.—გუშინ გათავდა ვარშავა-კოვნოს რკინის გზაზე მომხდარი მატარებლების შეტაკების საქმე. სასამართლომ დამნაშავედ სცნო სადგურის უფროსის თანაშემწე გრიგორიევი და მიუსაჯა ორის თვით დაპატიმრება. ვოლონივსკის ქვრივის საჩივარი იმის ქმრის სიკვდილის გამო სასამართლომ დააკმაყოფილა,—რკინის გზის სამმართველოს დაავალა ყოველ-წლივ აძლიოს ხუთი ათასი მანეთი.

ეკატერინოსლავი. გენერალ მესოროშის ცოლმა 6,000 მან. შესწირა, რათა ამ ფულის სარგებლით დახმარება აღმოუჩინოს მასწავლებელ ქალებს სამკურნალოდ და საზაფხულოდ წასასვლელად.

სარატოვი. სახალხო თეატრის მოსაწყობად ფინანსთა სამინისტრომ მისცა 18,500 მანეთი.

კიევი. პროფესორის ხოდინის ოცდა-ათი წლის სამსახურის დღესასწაული გადაიხადეს.

პარიჟი. დეპუტატმა ფიუარმა აუწყა დელკასეს, რომ წარმოადგენს კანონ-პროექტს, რომლითაც აღიკრძალება საფრანგეთში ბაღდადის რკინის გზის საზოგადოების აქციების და ობლიგაციების გამოცემა.

ლონდონი. ქვედა პალატაში სამხედრო მინისტრმა აუწყა, რომ ფელდ-მარშალი უოლსლეი სამხრეთ-აფრიკაში მიდის პირადი საქმეების გამო.

დაც ასე დამოკიდებულია ხელის სიმარდე, მარტო ის გარემოება იყო საკმაო ადამიანისათვის, რომ მას ვერტიკალური მდგომარეობა მიეღო. ამას გარდა, ბევრს შემთხვევებში აუცილებლათ საჭირო იყო ადამიანს ხელები და ტანის ზევითა ნაწილი თავისუფლათ დაეჭირა, ესეც აუცილებლათ ხდიდა მას ვერტიკალური მდებარეობა მიეღო“. პირველი ენა ადამიანისა მიმიკური და ექსპრესიულია: თავის სულიერ მდგომარეობას ის მიმიკით და ბგერით ხატავს. განა დღეს ცოტა მოიპოვება ჩვენში, რომ ლაპარაკის დროს ხელებს კი არა, მთელ ტანსაც ხმარობდეს?! ეს ჩვეულება მემკვიდრეობით არის ჩვენზე გადმოსული ჩვენი ძველი წინაპრებიდან. პირველად, როგორც ვსთქვით, ადამიანი ბგერებს გამოსცემდა, შემდეგ ის, როცა მისმა აგებულობამ საჭირო (ვერტიკალური) მდგომარეობა მიიღო, ახერხებს ამ ბგერების შეერთებას და ამით მას მთელი სიტყვა უდგება. „ზოგი სიტყვა, ამბობს პროფესორი ციგენი, [2]) ყვირილიდან წარმოსდა, ზოგიც-კი ანომატოპეიდან, ანუ ხმის მიმბაძველობიდან. ცხოველების ყვირილი, მაგალითად, ბევრ სხვა-და-სხვა ნაირ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს ხოლმე, რომელსაც თითქმის ყოველთვის რომელიმე გრძნობის ბეჭედი აზის. მიზეზი, რომელიც აიძულებს ცხოველებს ყვირილს, ძახილს,—ბევრნაირია. მაგალითად, მამალი, როცა მას დედალი გაებნევა, იძულებულია რამე ხმა გამოიღოს. კიდევ შეიძლება, მაგალითად, უცებ რამე მხეცმა გაირბინა ადამიანის სიახლოვეს, აქ ძალა უნებურად, რეფლექტორულად, გამოსცემს ის რამე ხმას. ხმის მიმბაძველობასაც აქვს ენის გაჩენის პროცესში თავისი მნიშვნელობა, მაგრამ ეს მეორე ხარისხოვანია“ დასძენს ავტორი. თითქმის ამასვე ამბობს ლეტურნოც. თითოეული გრძნობა, თუ კი ის ცოტათი მაინც მძაფრია, უსათუოთ აღიბეჭდება რომელსამე მოძრავ ნერვზე. ამ გარემოების აუცილებელი შედეგი კი ხმის ამოძახება არის, რაც უნებლიე მოძრაობად უნდა ჩაითვალოს ხმის ორგანოებისა, განსაკუთრებით სასულეს ანუ ყორყისა. ადამიანი და ბევრი სხვა ცხოველები ზოგიერთ გრძნობებს ყვირილით, ხმის ინტონაციის ცვლილებით გამოხატავენ. ამას ის გარემოებაც ემატება კიდევ, რომ პირველ-ყოფილი ადამიანი ხშირად იმეორებდა იმ ხმას, რომელსაც ის ხშირად ისმენდა, როგორც ამას ბავშვი შვრება. [3]) დარვინის აზრით, ლაპარაკის ნიჭის შემუშავების დროს მღერასაც ჰქონდა მნიშვნელობა. ადვილი შესაძლებელიაო, ამბობს ეს მეცნიერი, პირველ-ყოფილი ადამიანი ხმას საარშიყო იარაღად ხმარობდაო, ე. ი. ცდილობდა ხმიდან მუზიკალური კადანსები მიეღო, როგორც დღეს ამას ერთგვარი მაიმუნები შვრებიან. ამ ნიჭს პირველ-ყოფილი ადამიანი ხმარობდა სულის სხვა-და-სხვა მოძრაობის გამოსახატავად, როგორც, მაგალითად, არის: სიყვარული, იჭვიანობა და სხვა. აი ამ მუზიკალური ხმების მიბაძვა შეიქმნა მიზეზი ზოგიერთი სიტყვების აღორძინებისა. [4])

ამნაირად წარმომდგარ სიტყვებს ეძლეოდა განსაზღვრული მნიშვნელობა, და მით თანდა-თან გროვდებოდა მომავალ ენისათვის მასალა. განსაზღვრულ მნიშვნელობას იმიტომ ღებულობდა ამნაირათ წარმომდგარი სიტყვები, რომ ყველა ადამიანი ერთ-ნაირი ანატომიური შენობის იყო, ამიტომ რანაირ შთაბეჭდილებასაც რომელიმე მოვლენა ერთმანეთზე მოახდენდა, ამნაირსავე მოახდენდა ის მეორეზე, მესამეზე, მეასეზე და სხვა. მაგ., პირველ-ყოფილი ადამიანი მოსცილდა თავის ჯგუფს და ტყეში წავიდა სანადიროთ; უცებ, ვსთქვათ, რამე საშიშარ მხეცს წააწყდა თავს. რასაკვირველია, ის მაშინვე ძალა-უნებურად შიშის გამომხატველ ხმას გამოსცემს. ამ ხმით ყველა მისი მოძმეები მიხვდებიან, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდნილა მათი ჯგუფის წევრი, რადგანაც სწორედ ამნაირსავე ხმას გამოსცემდა თითოეული მათგანი, როცა ის გასაჭირ მდგომარეობაში ჩავარდნილა ხოლმე. ასე რომ შიშის გამოსათქმელი სიტყვა მზად არის უკვე. ასე მუშავდებოდა დანარჩენ გრძნობებისა და მოვლენების გამომხატველი სიტყვებიც. ზოგი სიტყვები რომ ხმის მიმბაძველობით არის წარმომდგარი, ამაზე ისეთი სახელები მოწმობენ, როგორც, მაგალითად, არის სიტყვები: ყიყინი, ბზუილი, და სხვა. ხარის სახელი ფრანგულს, ლათინურს და ბერძნულს ენებში ერთნაირია თითქმის და დამყარებულია იმ ხმაზე, რომელსაც თვითონ ხარი გამოსცემს. ამნაირად ჩნდებოდნენ სიტყვები, მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა, რომ პირველ-ყოფილ ადამიანს გამოეთქვა მთელი აზრები. საჭირო იყო ამ სიტყვების ერთი-მეორესთან შეკავშირება, მათი ასეთი თუ ისეთი კომბინაცია, ეს კი დიდი ხნის შემდეგ ხდება· ენის განვითარება შეკავშირებულია კაცობრიობის გონებრივ განვითარებასთან. რაც უფრო ვითარდებოდა გონების მხრით კაცობრიობა, მით უფრო რთულდებოდა და უმჯობესდებოდა მისი ენაც. როცა პირველ-ყოფილმა ადამიანმა ლაპარაკი დაიწყო, სიტყვებს შორის არავითარი გრამატიკული კავშირი არ ყოფილა. ამიტომაა, რომ ენა, რაც უფრო ძველია, მით უფრო გამოურკვეველია მაში გრამატიკული ფორმები. იქ აზრებს სიტყვების სხვანაირი დალაგებით არჩევენ. მეცნიერ ტაილტორს მოჰყავს მაგალითი ძველებური ენის ნიმუშად ამნაირი ჩინური ფრაზა: „Kou chi shi jln sse“. პირ-და-პირ რომ გადათარგმნოთ ეს, ნიშნავს: ძაღლი, ღორი, კაცი, ჭამა.

ჩვენ ვერ მივხვდებით, რას ნიშნავს ეს სიტყვები, მაგრამ ჩინელი კი მაშინვე ასე გადათარგმნის: „ძაღლი და ღორი ადამიანის საზრდოით იკვებება“-ო [5]). გრამატიკული ფორმები დიდი ხნის შემდეგ არის შემუშავებული. რაკი ერთხელ გაჩნდა ენა, ისიც საზოგადო განვითარების კანონს დაექვემდებარება. ამ განვითარების უკანასკნელ საფეხურებად დღეს ევროპიული ენები უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს განვითარება აქ კი არ შეჩერდება. ევოლიუციონური თეორიის მომხრენი იმ აზრის არიან, რომ მოვა დრო, როცა ამ განვითარებული ენებიდან კაცობრიობა ერთს საზოგადო ენას შეიმუშავებს.

ვ. დ—მე.

---

[2]) Физиологическая психологія д-ра Цигена. ლექცია 13, გვერდი 180.

[3]) Летурно. „Соціологія“ გვ. 268.

[4]) Происхожденіе человѣка Дарвина გვ. 59.

[5]) Липперта: „Исторія культуры“ 256 გვ.

სტოკჰოლმი. ლიბერალთა დეპუტატმა გედინმა აცნობა მეორე პალატაში, რომ საჩივარს შეიტანს ფინანსთა მინისტრზე ერთი ვახტმეისტერზე, ხოლო შემდეგ გარდასცემს თავმჯდომარეს საჩივარს დაბეჭდილ კონვერტით. პალატამ მიანდო საკონსტიტუციო კომისიას საქმის გარჩევა.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანაშემწე იუშკოვი დაინიშნა სამოქალაქო უწყების მოხელეთა სამსახურისა და ჯილდოების კომიტეტის საქმეების მმართველად.

7 მარტი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია მთავრობის განცხადება, რომლით რუსეთის მთავრობა არკვევს თავის შეხედულებას აღმოსავლეთაზიის საქმეების შესახებ და მოყვანილია ტექსტი იმ დეკლარაციისა, რომელიც რუსეთის და საფრანგეთის მთავრობამ 3/16 მარტს 1902 წ. გადასცეს ავსტრ-უნგრეთის, ბელგიის, დიდბრიტანიის, გერმანიის, ისპანიის, იტალიის, ჩინეთის, ნიდერლანდის, ჩრდილოეთ-ამერიკისა და იაპონიის მთავრობათ: „შეკავშირებული მთავრობანი რუსეთისა და საფრანგეთისა სიამოვნებით მიეგებნენ იმ ამბავს, რომ ინგლისსა და იაპონიას შუა შეთანხმება მოხდა 1902 წლის 17 იანვარს; ამ შეთანხმებას საგნადა აქვს უზრუნველ ჰყოს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა და დაიცვას დამოუკიდებლობა ჩინეთისა და კორეისა, რომელნიც ამასთანავე თავისუფალნი უნდა იქმნენ ყველა სახელმწიფოთა ვაჭრობა-მრეწველობისათვის. რუსეთი და საფრანგეთი იმიტომ მიეგებნენ სიამოვნებით ამ ხელშეკრულობას, რომ იგი სრულიად ეთანხმება რუსეთისა და საფრანგეთის პოლიტიკას აღმოსავლეთ აზიაში, რაც არა-ერთხელ გამოუცხადებია ორსავე სახელმწიფოს. ორივე სახელმწიფო ფიქრობს, რომ ამ პოლიტიკის განხორციელება შორეულს აღმოსავლეთში უზრუნველ ჰყოფს მათს ინტერესებსაც. მაგრამ რადგან მოსალოდნელია სხვა სახელმწიფოთაგან საწინააღმდეგო მოქმედება, ან ჩინეთში არეულობათა განმეორება, ამიტომ რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობანი ნებას აძლევენ თავიანთ თავს ამგვარ შემთხვევების ასაცილებლად და თავიანთ ინტერესების დასაცველად შესაფერს ღონისძიებათ მიჰმართონ“.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ კიევის პოლიტეხნიკუმი დაიხურა და ამასთანავე დაწვრილებით აღნიშნავს მიზეზებს.

პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგელის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „გუშინ, 6 მარტს, ავადმყოფს დიდი სიცხე ჰქონდა—37,8, თვით-გრძნობიერება, ძალა და მადა საკმაო აქვს; ჭრილობის შეხვევის დროს ჩირქი ბლომად გადმოსდინდა. დაჭრილი ალაგი ურჩება. დამე ცუდათ გაატარა და ამიტომ მისი უმაღლესობა დღეს სუსტად არის. დილას სიცხე 37 ჰქონდა.

6 მარტს მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს საქველ-მოქმედო და სამხატვრო გამოფენა, რომელიც გამართულია სამეცნიერო აკადემიაში.

ფარმაცევტების კრება დაიწყო.

უწმ. სინოდის სამეურნეო მმართველობასთან აარსებენ დამზდგვე განყოფილებას ეკკლესიათა და ეკკლესიის ქონებათა საურთიერთო დასაზღვევად.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გზათა სამმართველოში მსახურს პიგასოვს, დაბრალდა 32,000 მან. გაფლანგვა და ამიტომ მიესაჯა წლით და ნახევრით დაპატიმრება.

ვორონეჟი. საგუბერნიო ერობის თავმჯდომარედ არჩეულმა ლუტვინოვმა უარი თქვა თანამდებობაზე.

სასულიერო სემინარიის მასწავლებლებმა დაიწყეს სადვთისმეტყველო საჯარო ლექციების კითხვა.

მარგელანი. ამინდი გამოიცვალა: მოვიდა დიდი თოვლი; 4° ყინვა არის. ყანებში მუშაობა შეჩერდა; შიშობენ, რომ გამოკვირტული მცენარეები დაზარალდებიან.

ჰონკონგი. გუანტუნში მეამბოხეებმა გაიმარჯვეს; ჩინეთის ჯარის უფროსმა მომხმარე ჯარები მოითხოვა.

ბელგრადი. სამინისტრო სამსახურიდან გადადგომას აპირებს; მიზეზი—საერო კრების უმრავლესობასთან შეტაკებაა.

მოსკოვი. აქ მოვიდა მე-26 ავსტრიის ქვეითა პოლკის დეპუტაცია, რომელიც საზღვარგარედ მიდის.

მეორე მომგებიანი სესხის მოგება-ტირაჟი

მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

№№ სერიებ.	№№ ბილეთ.	მოგების ჯამი.	№№ სერიებ.	№№ ბილეთ.	მოგების ჯამი.	№№ სერიებ.	№№ ბილეთ.	მოგების ჯამი.
00031	47	500	06672	2	500	12713	47	500
00112	6	500	06761	26	500	12951	20	500
00200	13	500	06774	9	500	12991	1	500
00222	48	500	06826	49	500	13018	13	500
00226	43	5000	06832	45	500	13029	6	500
00278	8	500	06907	12	500	13055	38	500
00435	5	500	07078	5	500	13195	33	8000
00493	33	500	07144	25	500	13290	11	500
00502	40	500	07220	2	500	13434	43	1000
00533	8	500	07236	47	1000	13692	46	500
00569	9	1000	07414	36	500	13695	22	500
00624	46	1000	07437	3	500	13754	20	500
00671	28	500	07447	33	500	13764	15	500
00721	34	500	07474	2	500	13778	14	1000
00754	42	500	07515	9	500	13821	3	500
00820	33	500	07555	2	500	13858	22	500
00906	36	500	07895	20	500	13931	6	500
00969	23	500	07917	6	500	13999	42	500
01167	38	500	07984	1	500	14102	29	500
01170	5	500	08035	22	500	14284	49	500
01331	31	500	08508	19	500	14293	2	500
01336	34	500	08526	35	40000	14452	46	10000
01466	33	500	08547	7	500	14511	19	5000
01670	6	1000	08673	43	500	14523	23	1000
01670	31	500	08704	38	500	14627	35	500
01671	27	500	08768	17	500	14666	27	500
01689	49	500	08919	34	500	14719	12	500
01793	3	500	09010	23	500	14937	49	500
01857	50	500	09057	36	500	15074	44	500
01869	30	500	09064	30	500	15173	23	500
01964	15	8000	09073	41	500	15190	26	500
01981	33	500	09078	13	500	15326	20	500
02060	47	500	09096	3	5000	15364	31	500
02217	6	500	09128	26	500	15376	15	500
02265	21	500	09146	15	500	15434	37	500
02337	31	500	09146	39	500	15438	32	500
02381	37	500	09162	17	1000	15474	35	500
02508	17	500	09184	1	500	15479	32	500
02563	4	500	09252	31	500	15502	33	500
02613	45	500	09421	38	1000	15532	43	500
02693	42	500	09526	18	500	15555	32	500
02728	29	500	09589	10	1000	15578	29	500
02928	47	500	09597	40	500	15661	11	500
03014	6	500	09707	4	500	15663	43	500
03149	43	500	09725	33	500	15771	10	500
03203	37	500	09733	15	500	15785	1	500
03245	3	500	09757	30	500	15785	31	500
03317	7	500	09824	12	500	15863	10	500
03419	22	500	09824	41	500	15948	46	500
03428	2	500	09927	26	500	16072	45	500
03435	38	1000	10023	14	500	16116	28	500
03515	10	500	10115	2	500	16136	3	500
03552	26	500	10334	19	500	16146	10	500
03588	6	500	10352	38	550	16350	50	1000
03860	9	500	10480	44	500	16488	6	500
03897	38	500	10614	36	500	16696	39	10000
04054	43	500	10699	36	500	16728	49	500
04066	16	500	10735	48	500	16758	26	500
04093	33	500	10803	13	200000	16825	15	500
04170	30	500	10854	20	500	16864	12	500
04851	44	1000	10855	5	500	16898	30	500
04539	2	500	10910	19	8000	16950	17	25000
04554	9	500	10930	20	5000	17013	36	500
04585	36	500	10951	31	1000	17088	33	500
04700	22	500	10954	44	500	17198	6	500
04771	3	500	10991	50	500	17234	46	500
04880	24	1000	11044	5	500	17276	5	500
04953	22	500	11127	5	500	17296	7	500
05002	41	500	11187	14	500	17406	13	500
05065	48	1000	11220	29	500	17731	33	500
05078	25	500	11343	11	500	17788	13	500
05098	41	500	11367	37	500	17790	49	500
05149	18	500	11413	22	500	17836	16	500
05168	19	1000	11588	46	500	17945	13	500
05173	40	500	11609	2	500	17967	16	500
05197	12	5000	11648	19	1000	18003	12	8000
05264	10	500	11696	48	500	18018	46	500
05287	5	500	11728	36	500	18049	32	500
05299	1	500	11747	31	500	18502	47	500
05364	43	75000	11788	47	500	18506	32	500
05391	45	500	11821	16	500	18593	24	500
05544	18	500	11831	43	500	18615	28	500
05578	28	500	11859	10	500	18711	13	1000
05744	35	500	11867	19	10000	18797	9	500
05755	44	500	11934	2	8000	18800	18	500
05783	48	500	11992	15	500	19021	11	500
05839	45	500	12042	13	500	19047	5	500
05912	14	500	12048	9	500	19141	43	500
05953	27	500	12069	24	500	19367	41	500
05981	38	500	12088	17	1000	19395	20	500
06020	16	500	12144	6	500	19409	41	500
06085	25	500	12150	42	500	19493	4	500
06138	26	500	12175	7	500	19529	34	500
06142	32	500	12200	20	500	19570	13	500
06172	14	5000	12360	33	500	19637	1	500
06200	1	500	12378	12	5000	19674	10	500
06290	32	500	12500	33	5000	19685	28	500
06331	47	500	12532	43	500	19741	11	500
06345	48	500	12540	5	500	19778	2	500
06653	38	500	12669	35	500	19945	47	500

ტირაჟში გამოვიდა შემდეგი ბილეთები:

00325 00340 00371 00442 00453 00487 00506 00686 00972 01077 01241 01269 01416 01711 01849 01851 02319 02358 02439 02559 02582 02622 02656 02693 03142 03295 03444 03484 03542 03590 03721 04097 04139 04198 04396 04529 04643 04808 04896 05069 05132 05223 05403 05606 05891 05803 05949 06015 06308 06520 06621 06647 06801 06802 06962 07083 07096 07237 07351 07407 07417 07547 07600 07645 08158 08217 08346 08440 09241 09377 09535 09621 09657 09865 09961 10180 10199 10212 10552 10679 10932 11033 11216 11218 11737 11949 11964 12110 12175 12302 12686 12688 12771 12850 12944 13140 13160 13401 13773 13777 14061 14209 14230 14329 14465 14616 14684 14693 14832 14952 14954 15070 15223 15474 15484 15505 15571 15788 16199 16425 16581 16670 16755 16832 17004 17563 17658 17790 17833 18098 18126 18163 18187 18449 18502 18556 18696 18708 18874 19027 19305 19359 19471 19580 19805 19837

პეტერბურგის ბირჟა 1 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,27½	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
1% სახელმწიფო რენტა	96½	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100⅛	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	300½	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის დამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ამერიკული ვაზის სანერგე

«კლდ-ეგურული»

(სოფ. დიმი ქუთაისის მაზრა)

დაგვრჩა კიდევ ცოტა დამყნილი ამერიკული ვაზის ნერგები—შემდეგი ჯიშისა: კახური საფერავი, ოცხონური, „საფერნე“, „ბურგუნდიურისა“, შამპანურისა“, „შასლა“ და სხვა ევროპიული ჯიშისა. ისყიდება აგრეთვე გიბრიდი (ამ ჯიშის ვაზს დამყნა არ უნდა, ისე იბამს ყურძენს) კუდერ და სეიბალ ჯიმისა და დასამყნელი მასალა ამერიკული ვაზისა.

მომავალი წლისათვის (1903 წ.) **საჭირო დამყნილი ვაზის ნერგების შეკვეთა შეიძლება ამ თავითვე.**

წერილებისა ტელეგრამების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ქ. ქუთაისი, ვ. თიებო (г. Кутаисъ В. Тьебо). (5—3)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის საქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალიზენ

რყევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—14)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

აღოსნობისა, მეჯენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია.** ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—9)

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.